საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ვ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.08.2021

საჩივრის რეგისტრაციის № 056/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ი.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ი.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ი.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და ადვოკატისათვის გადახდილი საადვოკატო მომსახურების თანხის - 1 000 (ათასი) ლარის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის მაისში მას დასჭირდა ადვოკატი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ დავაში და ადვოკატ მ. ი.-სთან გააფორმა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მ. ი.-მა მას წინასწარ გამოართვა ხელშეკრულებით განსაზღვრული ჰონორარი, 1000 ლარის ოდენობით, აღნიშნულის შემდეგ კი დაპირდა, რომ დაუყოვნებლივ შეუდგებოდა იურიდიული დახმარების გაწევას.

1.4 საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ 2 თვის განმავლობაში ადვოკატს მისთვის არ გაუწევია რაიმე სახის იურიდიული დახმარება. ადვოკატის მხრიდან გამოიკვეთა საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება და მიკერძოებულობა მოკლე დროში. კონკრეტულად, 2021 წლის 21 ივნისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის სახელზე შეტანილი განცხადება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კანცელარიაში რეგისტრირებული არ აღმოჩნდა. საჩივრის ავტორმა კიდევ ერთი განცხადებით მიმართა საკრებულოს თავჯდომარეს დაკარგული განცხადების მოსაძებნად, თუმცა არცერთ განცხადებაზე მას პასუხი არ მიუღია. ადვოკატი არწმუნებდა, რომ განცხადება მიღებული ჰქონდა საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსს და საკითხს შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ განიხილავდა. მომჩივანი მიიჩნევს, რომ საკრებულოს თავჯდომარე და ადვოკატი ერთობლივად მოქმედებდნენ და რეალურად განცხადება იყო განადგურებული.

1.5 მომჩივანის განმარტებით, მან ადვოკატის საქმიდან ჩამოშორება გადაწყვიტა. ადვოკატ მ. ი.-ს საქმიდან ჩამოშორებასთან ერთად მოსთხოვა უკვე გადახდილი ჰონორარის - 1000 ლარის უკან დაბრუნება, რაზეც ადვოკატისგან უარი მიიღო. ასევე, მომჩივანმა ადვოკატს მოსთხოვა მის საქმესთან დაკავშირებული საქმის მასალების გადაცემა, რაზედაც ადვოკატისაგან უარი მიიღო.

1.6 საჩივრის ავტორმა პირადი გადაწყვეტილებით მონაწილეობა არ მიიღო ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2023 წლის 16 თებერვლის სხდომაზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2021 წლის 29 სექტემბერს ადვოკატმა ეთიკის კომისიას წარმოუდგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ვ. ა.-ს საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე, რადგან მას არ დაურღვევია პროფესიული ეთიკის ნორმები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2021 წლის მაისში მას ოფისში მიმართა ასაკოვანმა პიროვნებამ, ვ. ა.-მ და სთხოვა იურიდიული კონსულტაციის გაწევა. იურიდიული კონსულტაციის გაწევის დროს, გამოირკვა, რომ ვ. ა.-ს პრობლემა ჰქონდა წყალტუბოს საკრებულოსთან, ამიტომაც ადვოკატმა შესთავაზა სარჩელის შედგენა და ადმინისტრაციული დავის წარმოება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, 2021 წლის 11 მაისს მათ შორის წერილობით გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იყო ჰონორარი 1000 ლარის ოდენობით. ადვოკატის განმარტებით, მან ზეპირად განუმარტა კლიენტს ჰონორარის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები. მისი განმარტებით, 1000 ლარის გადახდა უნდა მომხდარიყო 2 ეტაპად, 500-500 ლარის ოდენობით. ხელშეკრულებით ადვოკატის ვალდებულებები ვრცელდებოდა მხოლოდ იურიდიული კონსულტაციის გაწევასა და დოკუმენტების, მათ შორის სარჩელის მომზადებაზე, ხოლო უშუალოდ სასამართლოში წარმომადგენლობა ხელშეკრულების ფარგლებში არ იყო განსაზღვრული. ადვოკატის განმარტებით, 2 ჯერ მოხდა კლიენტის ინფორმირება, იმის თაობაზე, რომ თუ იგი საკუთარი ინიციატივით შეწყვეტდა აღნიშნულ ხელშეკრულებას, მისთვის გადახდილი ჰონორარი უკან აღარ დაბრუნდებოდა. ინფორმირების შემდეგ ორივე შემთხვევაში ვ. ა.-მ მოაწერა ხელი ხელშეკრულების პირობებს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ის კვალიფიციურად ახორციელებდა მისი კლიენტის ინტერესების დაცვას და გადახდილი ჰონორარი, 1000 ლარის ოდენობით, შეუსაბამოდ ცოტაა იმ იურიდიული მომსახურებისათვის, რაც მის მიერ იქნა გაწეული იმ ვითარებაში, რომ ვ. ა. საათობით ატარებდა დროს მის კაბინეტში, მუდმივად უწევდა კონსულტაციებს, შეისწავლა კლიენტის მიერ წარმოდგენილი მოცულობითი მასალა, მოამზადა განცხადება ადმინისტრაციული ორგანოს სახელზე და სარჩელი. ასევე, როდესაც მისი კლიენტი ზედმეტად შეწუხებული იყო იმ ფაქტით, რომ წყალტუბოში მის მიერ გაკეთებული ძეგლის მონახულების საშუალებას არ აძლევდნენ, ადვოკატმა თავად, საკუთარი ხარჯებით წაიყვანა კლიენტი წყალტუბოში. დაათვალიერეს ძეგლი და კლიენტი დარჩა კმაყოფილი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 11 მაისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით მის ტელეფონზე ვ. ა.-სგან განხორციელდა 29 სატელეფონო ზარი, ხოლო მისი მხრიდან კლიენტის ტელეფონზე 13 სატელეფონო ზარი. მისი განმარტებით, ყოველი ზარის შემდეგ კლიენტი მასთან მიდიოდა და 2 საათზე მეტს ესაუბრებოდა. საუბარი ეხებოდა კლიენტის ოჯახს, წარსულს და ისეთ საკითხებს რომელიც საადვოკატო საქმიანობის სფეროს სცდებოდა, თუმცა ყოველთვის გულისყურით უსმენდა, კლიენტის ასაკის გათვალისწინებით. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ კლიენტთან შეხვედრების შემდეგ, ბევრჯერ იყო შემთხვევა, რომ საკუთარი ავტომობილით მიიყვანა კლიენტი სახლში.

2.6 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის გაგზავნის შემდეგ, კლიენტი უსაფუძვლოდ მიიჩნევდა, რომ საჩივარი დაიკარგა. ამის გამო, ვ. ა.-მ შეურაცხყოფა მიაყენა საკრებულოს თანამშრომლებს, ასევე პოლიციას და ყველა იქ მყოფ პირს. საჩივრის ავტორმა ადვოკატს არ მიანდო ინფორმაციის მოძიება. ადვოკატის განმარტებით, 26 ივლისს თავად დაურეკა ვ. ა.-ს და უთხრა, რომ მომდევნო დღეს აპირებდა საკრებულოში მისვლას და მასაც თუ სურვილი ჰქონდა ერთად წასულიყვნენ, რაზეც ყოფილმა კლიენტმა უპასუხა, რომ ის აღარ იყო მისი ადვოკატი. აღნიშნულის შემდეგ, 01 აგვისტოს ყოფილმა კლიენტმა თავად დაურეკა და მშვიდად მოსთხოვა მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტის წაშლა, რომელიც მის საქმეს ეხებოდა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, საბოლოოდ, 08 აგვისტოს დაუკავშირდა მას მისი ყოფილი კლიენტი და მოსთხოვა გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება, რაზეც მისგან უარი მიიღო, რადგან მიიჩნევს, რომ თანხა გამოიმუშავა.

2.8 2023 წლის 16 თებერვლის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა საქმის მასალებთან დაკავშირებით დამატებით განმარტა, რომ საქმის მასალები მას კლიენტმა გადასცა მეხსიერების ბარათიდან - ე.წ. „ფლეშკიდან“ და ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით. დოკუმენტთა ძირითადი ნაწილი იყო ვ. ა.-ს მიერ მოძიებული კანონები, ასევე, კლიენტმა ელექტონულად გადასცა თავის მიერ მიერ შედგენილი რამდენიმე წერილის ასლიც. ადვოკატი განმარტავს, რომ რადგან აღნიშნული მასალები მოპოვებული იყო ისეთი სახით, რომ ეს მასალები კლიენტთანაც დარჩა, მასალების უკან დაბრუნების ვალდებულება მას არ ეკისრება.

2.9 დამატებით, განხილვის კოლეგიის სხდომაზე კოლეგიამ ადვოკატს შესთავაზა კლიენტისათვის ანგარიშის წარდგენა და დოკუმენტების დაბრუნება. ადვოკატმა განაცხადა, რომ მისთვის აღნიშნულ კლიენტთან ურთიერთობა იყო პრინციპული, მცირე ჰონორარის ფარგლებში გასწია დიდი სამუშაო და არასწორად მიაჩნია ვ. ა.-ს წარუდგინოს ანგარიში; ასევე ადვოკატმა განმარტა, რომ კლიენტისათვის დოკუმენტაციის დაბრუნების ვალდებულება არ გააჩნია და დოკუმენტაციის დაბრუნებით შექმნის არასწორ პრაქტიკას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. ი.-ს მიმართ.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა მ. ი.-მა დაარღვია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი.

3.3 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ვერ დაადგინა ადვოკატ მ. ი.-ს მიერ კვალიფიციური წარმომადგენლობის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში „ეთიკის კოდექსი", მუხლი 8.5); ინფორმირების ვალდებულებისა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6) და დამოუკიდებლობის პრინციპის (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1, ეთიკის კოდექსი, მუხლი 2.1) დარღვევა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 უდავო ფაქტები:

4.1.1. საჩივრის ავტორმა ადვოკატ მ. ი.-ს საადვოკატო მომსახურებისათვის მიმართა 2021 წელს. მხარეთა შორის 15.05.2021 წელს, წერილობით გაფორმებული შეთანხმების საგანს წარმოადგენდა: „იურიდიული მომსახურების გაწევა", ვალდებულების შესრულების ადგილად განისაზღვრა - ქუთაისის საქალაქო სასამართლო, ხელშეკრულების მოქმედების ვადად - 1 წელი, ხოლო შესრულებული სამუშაოს ჰონორარი - 1 000 ლარით. მხარეთა შორის 2021 წლის 17 მაისს გაფორმებულია რწმუნებულება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე 2021 წლის 15 მაისის ხელშეკრულება;

იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე 2021 წლის 11 მაისის შეთანხმება - კონსულტაციის შესახებ;

2021 წლის 17 მაისის რწმუნებულება №-- ;

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი;

4.1.2. ადვოკატმა საქმის მასალების სახით კლიენტისაგან მიიღო კანონები და კლიენტის მიერ მომზადებული განცხადებები (ელექტრონული ფოსტიდან და მეხსიერების ბარათიდან), აღნიშნული საქმის მასალები კლიენტსაც დარჩა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი;

4.1.3. ადვოკატს განხორციელებული აქვს შემდეგი იურიდიული მოქმედებები: გაეცნო საქმის მასალებს, შედგენილი აქვს სარჩელი, აგრეთვე განცხადება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის სახელზე, კონსულტაციას უწევდა კლიენტს როგორც

სატელეფონო, აგრეთვე პირადი საუბრების დროს, იმისათვის რომ გაეგო განცხადება განხილვის რა ეტაპზე იყო, მიაკითხა წყალტუბოს საკრებულოს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა განმარტება;

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი;

4.1.4. მხარეთა შორის საადვოკატო ურთიერთობა დასრულდა კლიენტის სურვილით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა განმარტება;

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი;

4.1.5. ადვოკატს არც საადვოკატო მომსახურების პერიოდში და არც მომსახურების დასრულების შემდეგ კლიენტისათვის არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება და მომსახურების დასრულების შემდეგ, უარს აცხადებს კლიენტისათვის დოკუმენტაციის დაბრუნებაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი;

4.2. სადავო ფაქტები:

მხარეთა შორის სადავოა ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მოცულობა, კერძოდ, თუ რას მოიცავს შეთანხმებით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურების გაწევის ფარგლები.

მიუხედავად ადვოკატის მტკიცებისა, რომ კლიენტთან ზეპირი შეთანხმებით აღნიშნული ვალდებულება გულისხმობდა მხოლოდ საქმის გაცნობას და სარჩელის მომზადებას, მხარეთა ხელმოწერილ შეთანხმებაში, რომელიც მოპასუხე ადვოკატმა წარმოუდგინა ეთიკის კომისიას, დეტალურად არ იყო გაწერილი ადვოკატის მიერ შესასრულებელი ვალდებულების მოცულობა და შეთანხმების საგნად მითითებული იყო ზოგადად იურიდიული მომსახურების გაწევა. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იურიდიული მომსახურებაში შეგვიძლია ვიგულისხმოთ ისეთი იურიდიული მოქმედებების განხორციელება, როგორებიცაა: კონსულტაცია, დოკუმენტების მომზადება, მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღება, სასამართლო წარმომადგენლობა და ა.შ.. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ადგილად განისაზღვრა ქუთაისის საქალაქო სასამართლო, რომელიც წარმოადგენს კლიენტის ინტერესების წარმოდგენის ადგილს თუკი სარჩელი იქნება შეტანილი. ხელშეკრულების მოქმედების ვადად ასევე განისაზღვრა 1 წელი, რომლის განმავლობაში თეორიულად შესაძლებელია ყველა იმ იურიდიულ მოქმედებათა განხორციელება, რომელიც ზემოთ იქნა ჩამოთვლილი.

მხარეთა შორის 2021 წლის 15 მაისს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, კოლეგიამ დაადგინა, რომ მიღებული 1000 ლარის ფარგლებში ადვოკატს კლიენტისათვის მომსახურება სრულად უნდა გაეწია პირველი ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა შორის 2021 წლის 15 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ;

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი;

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ი.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ მ. ი.-ს მიერ დარღვეულია კლიენტის საქმეზე ფინანსურ ნაწილში ანგარიშის წარმოებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება:

6.2 კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი ან ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი).

6.3 აღნიშნულ მუხლის მიზანი და შინაარსი დეტალურად არის განმარტებული როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ასევე ეთიკის კომისიის პრაქტიკით. მათ შორის საქართველოს უზენაესი სასამართლომ, საქმე №, 21.11.2016, გვ.7 აღნიშნა, რომ „ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“.

6.4 უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით მხარდაჭერილია ეთიკის კომისიის პრაქტიკა, რომელიც პროპორციულობას მოითხოვს ჰონორარის გამომუშავებული ნაწილის განსაზღვრისას. „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია იმ მიზნისთვის, რისთვისაც კლიენტმა გადასცა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №015/18, გადაწყვეტილება 12.09.2018, პარ. 5.6).

6.5 „ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული“ (ეთიკის კომისიის №098/17, გადაწყვეტილება 15.02.2018, პარ. 8.7).

6.6 კოლეგიამ შეაფასა ადვოკატის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ პირობა, რომ თუკი საადვოკატო მომსახურება შეწყდებოდა მარწმუნებლის მოთხოვნით, წარმომადგენლობისთვის გადახდილი თანხა მას უკან არ დაუბრუნდებოდა, კოლეგია განმარტავს, რომ კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და

განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. თუმცა „ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლით დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს“. უზენაესმა სასამართლომ და განმარტა, რომ „ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს, სახელშეკრულებო დათქმა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სპეციალურ ნორმას, რომლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. ამასთანავე, დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი წესების თანახმად, რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად (სკ-ის 715.1 მუხლი), მათ შორის წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებისათვის ანაზღაურების სახით გადახდილი საფასურის თანხის ის ნაწილი, რომელიც ეხება გაუწეველი მომსახურების ღირებულებას. სადისციპლინო კოლეგია ადვოკატის ქცევის სტანდარტის დაცულობის შემოწმებისას არ არის შებოჭილი მხარეებს შორის დადებული შეთანხმების ტექსტით. პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა. გასაწევი მომსახურების სრულად შეუსრულებლობა მარწმუნებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამო, ავალდებულებდა რწმუნებულს, გაწეული მომსახურების ღირებულების გამოქვითვით, გადახდილი თანხის დაბრუნებას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე №№დს-შ/17-16).

6.7 ადვოკატის ქმედების შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება ადვოკატის მიერ პროპორციულობის დაცვას კლიენტისათვის დასაბრუნებელი გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისას. ასევე, რამდენად აწარმოა კლიენტის საქმეზე ფინანსური ანგარიშგება. ვ. ა.-მ ადვოკატს გადასცა 1000 ლარი, რაც იყო საადვოკატო მომსახურების საფასური. ხელშეკრულებით, მიღებული თანხის სანაცვლოდ, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა ვ. ა.-ს ადმინისტრაციული დავა. კოლეგიამ დაადგინა, რომ მიღებული თანხის ფარგლებში ადვოკატმა აიღო ვალდებულება საქმის მომზადებისა და პირველ ინსტანციაში საქმის წარმოების. ადვოკატმა შეისწავლა საქმე და მომსახურება დაიწყო ადმინისტრაციულ ორგანოში. ადვოკატის მიერ განხორციელდა შემდეგი საადვოკატო მოქმედებები: გაეცნო საქმის მასალებს, შედგენილი აქვს სარჩელი, აგრეთვე განცხადება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის სახელზე, კონსულტაციას უწევდა კლიენტს როგორც სატელეფონო, აგრეთვე პირადი საუბრების დროს, იმისათვის რომ გაეგო განცხადება განხილვის რა ეტაპზე იყო, მიაკითხა წყალტუბოს საკრებულოს (პარ. 4.1.3).

6.8 კლიენტმა ადვოკატთან ცალმხრივად გაწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება (პარ. 4.1.4). შედეგად, ადვოკატს აღებული ვალდებულება სრული მოცულობით არ შეუსრულებია ობიექტური მიზეზის - კლიენტის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო. ასევე, ადვოკატს კლიენტისათვის არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება, რომ მან გასწია მიღებული საადვოკატო მომსახურების თანხის სანაცვლო მომსახურება. ხელშეკრულება შეწყდა სარჩელის სასამართლოში შეტანამდე. განხილვის კოლეგიამ ადვოკატს ჰკითხა

წარუდგინა თუ არა მან კლიენტს ფინანსური ანგარიშგება იმ პერიოდში, როდესაც მას უწევდა საადვოკატო მომსახურებას - ადვოკატმა კოლეგიას განუმარტა, რომ მისთვის აღნიშნულ კლიენტთან ურთიერთობა იყო პრინციპული, მცირე ჰონორარის ფარგლებში გასწია დიდი სამუშაო, თუმცა კლიენტისათვის ანგარიშგება არ წარუდგენია და ამჟამადაც არასწორად მიაჩნია ვ. ა.-ს წარუდგინოს ფინანსური ანგარიშგება. ასევე მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგი დადგება, ადვოკატი არ დაუბრუნებს საქმის მასალებს, რადგან მიაჩნია, რომ ამით დანერგავს არასწორ პრაქტიკას. კოლეგია განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურებისას ადვოკატის ვალდებულებაა თავის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე წინ დააყენოს კლიენტის ინტერესი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა განახორციელა მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი სარჩელის სასამართლოში წარსადგენად მომზადებისთვის, ხელშეკრულებაში თავის მიერ გაწერილი მომსახურება სრულად ვერ შეასრულა, ადვოკატს წარმოეშვა ვალდებულება კლიენტისთვის წარედგინა ფინანსური ანგარიშგება და დაებრუნებინა გამოუმუშავებელი ჰონორარის ნაწილი, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული გაანგარიშებით, რაც არ განუხორციელებია.

6.9 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ მ. ი.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15), რის გამოც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6.10 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატს არ წარმოეშვა კლიენტისათვის საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულება, რადგან კლიენტს აღნიშნული მასალები თავადაც დარჩა. მასალები, რომლის ძირითად ნაწილს შეადგენდა სადავო საკითხთან დაკავშირებით კლიენტის მიერ მოძიებული საკანონმდებლო რეგულაციები, ადვოკატმა თავისი რესურსით ამობეჭდა კლიენტის მიერ მითითებული - ელ. ფოსტიდან და მეხსიერების ბარათიდან (პარ. 4.1.2).

6.11 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

6.12 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

6.13 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/3-15, 01.04.2015).

6.14 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და

დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.15 ეთიკის კომისია ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: ადვოკატს არ აქვს დაკისრებული გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი, მან შეასრულა სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი, კლიენტისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანი არ არის შექცევადი, რადგან კლიენტს შეუძლია სამოქალაქო წესით მოითხოვოს ადვოკატისთვის წინასწარ გადახდილი ანაზღაურების შესაბამისი ნაწილი, და შედეგად ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

6.16 განხილვის კოლეგიამ ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას გაითვალისწინა ეთიკის კომისიის პრაქტიკა: კერძოდ საქმე №070/18 , 20.09.2019, საქმე №092/18, 24.07.2019 და საქმე №091/20, 25.11.21 (შედეგი - ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრება); აღნიშნულ საქმეებსა და განსახილველ დისციპლინურ საქმეს შორის კავშირი სახეზეა, როდესაც ადვოკატმა კლიენტის მიმართ ნაკისრი ვალდებულება ბოლომდე ვერ შეასრულა თუმცა ჰონორარი სრული ოდენობით მიიღო და ურთიერთობის შეწყვეტისას ჰონორარის ნაწილი კლიენტისთვის არ დაუბრუნებია.

6.17 კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომლის შინაარსი კონფიდენციალურია, შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით, რომლის შინაარსი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

6.18 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №056/21 ადვოკატ მ. ი.-ს მიმართ /სიითი N/ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე	/ოთარ კაჭკაჭაშვილი/
კოლეგიის წევრი	/ინგა ბერიძე/
კოლეგიის წევრი	/ანა კოტეტიშვილი/